ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური პრობლემები; ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება.
Psychological Problems of Child and Adolescent; Psycho-diagnostic and Counseling

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის მაგისტრი (ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება); MSc in Psychology (Psychological Problems of Child and Adolescent; Psycho-diagnostic and Counseling)

3. პროგრამის ხელმძღვანელები: ლუიზა არუთინოვი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; მანანა მელიქიშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

4. პროგრამის მიზანი:
სამაგისტრო პროგრამის მიზანია პროფესიონალი ფსიქოლოგის მომზადება განვითარების ფსიქოლოგიის, ბავშვებისა და მოზარდების ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების სფეროში. პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ბავშვებისა და მოზარდების დიაგნოსტირებისა და კონსულტირებისათვის საჭირო თეორიული ცოდნის ათვისებასა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბებას. სამაგისტრო პროგრამის დასრულებისთვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.

პროგრამის შედეგი:
სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ გამოავლინონ და ადეკვატურად განსაზღვრონ ის სიძნელეები და პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან სასკოლო ასაკის ბავშვები; იმუშაონ როგორც ეთიკურმა და პროფესიონალმა ფსიქოლოგებმა; შეარჩიონ ან მოამზადონ და კვალიფიციურად გამოიყენონ ბავშვებისა და მოზარდების ფსიქოლოგიური შეფასებისათვის საჭირო მეთოდები; მიღებული ემპირიული მასალის საფუძველზე შეადგინონ რეზიუმე და შეიმუშაონ სათანადო რეკომენდაციები; საჭიროების შემთხვევაში დასახონ და განახორციელონ ფსიქოლოგიური ჩარევა; როგორც მოზარდებს, ისე ბავშვების მშობლებსა და პედაგოგებს გაუწიონ პროფესიული კონსულტირება. სტუდენტები აითვისებენ კვლევისა და შეფასების, ფსოქოლოგის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ ცოდნას.

კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროები:
ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა უკავშირდება სასკოლო ასაკის ბავშვთა აღზრდა-განვითარებას თუ სწავლებას, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვასა და რეაბილიტაციას, მათთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენას.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხი ან სპეციალისტის დიპლომი ფსიქოლოგიაში.
- აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, სადაც ასახული იქნება მისი მოლოდინი, ხედვა თუ მოტივი, რატომ ირჩევს მოცემულ სამაგისტრო პროგრამას. აგრეთვე, შეუძლია წარმოადგინოს ნებისმიერი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის აქტივობას, სამუშაო გამოცდილებას სამეცნიერო ან პრაქტიკული თვალსაზრისით.
- სამუშაო გამოცდილება არაა აუცილებელი, ამ პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვთ 2009 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს.
- აპლიკანტს მოეთხოვება რომელიმე უცხო ენის ცოდნა, სულ მცირე B1 დონე (სასურველია ორი ენის _ ინგლისურისა და რუსულის ცოდნა).